

ხელშეკრულება № 01-18-15/290-2018-2

ქ. თბილისი

„ 21 “ მარტი 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის მიერ, (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შპს „არტ ბონუსი“ წარმოდგენილი დირექტორის დავით ტყემალაძის სახით (შემდგომში “შემსრულებელი”), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევაზე:

- ა) პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს შემკვეთის მიერ პრაქტიკაზე გაგზავნილი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის მენეჯმენტის“ და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის მენეჯმენტის“ სტუდენტები. თითოეული პროგრამიდან არაუმეტეს 20 სტუდენტი ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში.
- ბ) შემსრულებელი პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას შემკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;
- გ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი:

2.1.1. უწევს ამ ხელშეკრულების 3.1.-ით გათვალისწინებულ მომსახურებას შემსრულებლის ადგილსამყოფელის მიხედვით: ქ. თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. 6.

2.1.2. შესრულებული ვალდებულება უზრუნველყოს შემკვეთთან შეთანხმებული პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულება;

2.2. შემკვეთი:

2.2.1. შესრულებულს მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

3. მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება პრაქტიკა წარმართება ანაზღაურების გარეშე არანაკლებ 45 სთ. სემესტრში, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა





4.1. შესრულებული იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხემოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის სექტემბრამდე.

5. სხვა პირობები

- 5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.
- 5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში – მიმართავენ სასამართლოს.
- 5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლიარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

<p>შემსრულებელი: <u>205213491</u> (დასახელება, მისამართი და ს/კ) <u>შპს „არტ ბონუსი“</u></p> <p>ხელმოწერა: </p> 	<p>დამკვეთი: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კოსტავას ქ. 77, ს/კ 211349192</p> <p>ხელმოწერა:  ა. ტრანციშვილი</p> 
---	--